საქართველოს მთავრობის

დადგენილება №434

2023 წლის 6 ნოემბერი

ქ. თბილისი

„სს „საქართველოს განვითარების ფონდის“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 6 სექტემბრის №354 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „სს „საქართველოს განვითარების ფონდის“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 6 სექტემბრის №354 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/09/2023, 040030000.10.003.024187) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სს „საქართველოს განვითარების ფონდის“ წესდების“:

1. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 პუნქტი:

„11. ფონდი შესყიდვებს ახორციელებს საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად.“.

2. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) ფონდის მიერ ქონების შეძენის შესახებ (გარდა სახელმწიფო შესყიდვებისა, მათ შორის, გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3^1 პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვებისა), თუ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი;“.

3. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2023 წლის 10 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**